# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 236 | ხუთშაბათი, 15 ივლისი 1904 წ. | გაზეთის № 2554


## ჯარის-კაცი

ი. ქ. გეშოვისა.*)

(თარგმანი)

ლომიდან სოფიაში მოვდიოდი. ბერკოვიცაში ღამე მოველ. მეორე დღეს იქიდან დილა-ადრიან წაველ, დაფიქრებული, მოწყენილი და აღელვებული.

რა იყო მიზეზი? ისა, რომ ამ პატარა და მშვიდს ქალაქში გავიგე მეტად აღმაშფოთებელი ამბავი: კაენი გაჯავრებულიყო აბელზე იმის გამო, რომ აბელის მიერ შეწირული მსხვერპლი მიუღია ღმერთს და კაენისა კი დაუწუნებია... სერბიის მეფემ ბოლგარიას ომი გამოუცხადა.

კვირა დღე იყო, 3 ნოემბერი, 1885 წელს.

ძმა ძმას უნდა ეომებოდეს? ოჰ, ღმერთო, რად აძლევ ომის ნებას, განსაკუთრებით ძმებს შორის?! რატომ არ გამოაცხადებ ომს ომის წინააღმდეგ? ეს ხომ შენის შთაგონებით დასწერა ჟან პოლ რიხტერმა: „ომის გამოცხადება ომის წინააღმდეგაო“. ეს ხომ შენ, ნამდვილად შენ უბრძანე იმას, დაეწერა შემდეგი სიტყვები: „აქამომდე, საუბედუროდ, ქვეყანაზე ისეა საქმე მოწყობილი, რომ ორი კაცი გადასწყვეტს ხოლმე ომის გამოცხადებას, ხოლო მილიონები ომობენ და იხოცებიან, მაშინ როდესაც ბევრად უმჯობესი იქნებოდა, რომ მილიონს გადაეწყვიტა ომის გამოცხადება, ხოლო ორ კაცს კი ეომნა“. ჰო და, ამის შემდეგ რისთვის ითმენ, ღმერთო, ომს?

მაგრამ ღმერთი მაღლაა და ჩვენ კი, ადამიანები,—ძალიან, ძალიან დაბლა ვართ. ღმერთს არ ესმის, როცა ჩვენ ომის წინააღმდეგ ვლაპარაკობთ!

მაშ ასე, უნდა ვიომოთ, ვიომოთ ჩვენის ძმების წინააღმდეგ, რომელთაგანაც თანაგრძნობას ველოდით, რომელთაც გულში ვიკრავდით იმ დროს, როცა ისინი ჩვენს წინააღმდეგ ხმლებსა ჰლესავდნენ.

როგორ შეიძლება ფრთხილად იყო და სცდილობდე მოქნეულის თავიდან აცდენას, როდესაც კოცნას მოელი? ხომ ვერ წარმოიდგენ, რომ იმ კაცმა უნდა დაგარტყას, რომელიც შენ საუკეთესო მეგობრად მიგაჩნია?

ამ უმიზეზო, სამარცხვინო ომმა გული ამივსო ბოღმითა და დარდით, შიშითა და ზიზღით... ვშიშობდი, ვაი თუ კაენმა გაიმარჯოს მეთქი. ვშიშობდი უფრო იმიტომ, რომ ჩვენი ჯარი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ იყო, სერბიელები კი ჩრდილოეთ-დასავლეთიდან გვაწვებოდნენ.

ბევრჯერ გამივლია კლისურიდან სტარაია პლანინას გზატკეცილზე, მაგრამ ეს არე-მარე ისე მოწყენილი და წყვდიადით მოცული არასოდეს არა მჩვენებია, როგორც ეხლა. ეს ვეებერთელა ქალა სულ ცარიელი იყო. ამ დაბურულს ტყეში მიმავალ გზა-ტკეცილზე ხალხი შიშით ველარ გამოდიოდა, რადგან აქედან მოელოდნენ მტრის თავდასხმას. ხალხი თითქოს გაურბოდა ამ თავდაუცველ ადგილს. აქედან რამდენისამე კილომეტრის სიშორეზე სერბია-ბოლგარიის საზღვარი იყო. ეს საზღვარი შუაზე ჰყოფდა გუშინდელ ძმებს და დღევანდელ დაუზოგველ მტრებს. ჩემი მეეტლე, რომელსაც ბერკოვიცაში გუშინ პირველად გაეგონა ძმათა შემმუსვრელ ომის ზარბაზნის ხმა, წამ-და-უწუმ აქეთ-იქით იყურებოდა, თითქო ყოველს მოსახვევში მტრის მზვერავების თავდასხმას მოელისო.



პატარა მემუსიკე.—სურათი ბავენიტისა.

გზაში იშვიათად გვხვდებოდა მგზავრი. თუ შევხვდებოდათ ვინმე, დავაყენებდით და გამოვკითხავდით ხოლმე:

— რა იცით ახალი ამბავი? რა გაიგეთ? გინცა, პეტროხანი, ეს პატარა ქალაქები, საზღვართან მდებარე, უკვე აიღეს სერბიელებმა თუ არა?

— არა, არა!—გვიპასუხებდნენ.

პეტროხანიცა და გინცაც ჯერ თავისუფალი იყო. სერბიელები ნამდვილად გადასულიყვნენ საზღვარზე, მაგრამ უფრო შორს იყვნენ წასულნი და ეხლა (ცარიბროდის მახლობ-

*) გეშოვი ბოლგარელი მწერალია.

ლად იდგნენ, საიდანაც ზარბაზნების გრიალი მოისმოდა. ასე დამამგვარად, სამარცხვინო საქმეს უკვე შესდგომოდნენ და ძმათა მიწები ძმებისავე სისხლით ილებებოდა.

მძიმე ფიქრებისაგან თითქოს ჩვენი ეტლიც მძიმდებოდა. ცხენები ძლივს მიათრევდნენ ეტლს აღმართზე. ამინდი ღრუბლიანი იყო; ჩამობნელებული ცა თითქოს დედა-მიწას ებრძოდა. წიფლის დაბურული ტყე, რომელსაც შუაზე სჭრის კლისურის გზა-ტკეცილი, უკვე გატიტვლებულიყო, უკანასკნელი ფოთოლი მოეცილებინა, მაგრამ ახალს სამოსელში მოსაკაზმავად კი ჯერ არ ემზადებოდა; ალბად ისიც ჰხედავდა ამ უსამართლობას და უკუღმართს ბედს ემდუროდა. ცივი და სუსხიანი ქარი უბერავდა; ყოველი მისი შემობერვა მომაკვდავის უკანასკნელ ამოსუნთქვად მეჩვენებოდა. ხის ტოტები ჩვენკენ იხრებოდა, თითქოს გვანიშნებდა,—მზადა ვარ დაგეხმაროთო. მე კი ეს ქარის ზუზუნი და ხის ტოტების რხევა ისე მეჩვენებოდა, თითქოს ვისმე წყევა-კრულვას უთვლიდნენ...

— გარეკე, მეეტლევ, გარეკე ცხენები. გავიაროთ საჩქაროდ ეს საშიში ხეობა. განა საკმაო არ არის ის უბედურება, რაც მომავალში მოგველის? — ვეუბნებოდი ჩემს მეეტლეს.

შემდეგ რამდენისამე საათისა, რომელიც დღეებად მეჩვენებოდა, როგორც იყო, მივაღწიეთ უღელ-ტეხილს და ამოვხტით პეტროხანში. მე გაფაციცებით ვუგდებდი ყურს, იქნება ზარბაზნის ხმა გავიგონო — მეთქი; მაგრამ არა, აქამდე ვერ აღწევდა ზარბაზნის ხმა. გავეჩქარე სატელეგრაფო სადგურისაკენ. ვერა, ვერც არას იქ გავხდი. ტელეგრაფი დამუნჯებულიყო, მაგრამ ეს სიმუნჯე განა ყველა ტკბილს მუსაიფს არა სჯობდა? გულის გამგმირავ ამბებს მაინც ხომ გაიგონებდით!! მტრის ზარბაზნები იმიტომ ხომ არა სდუმდა, რომ სერბიელნი ცარიბროდს კარგა მანძილით დაჰშორდნენ და ეხლა დრაგომანს უახლოვდებოდნენ? ველაპარაკე ტელეგრაფის მოხელეს ამა თუ იმ საგანზე. მე ჩემი აზრი გაუზიარე ომის შესახებ, იმან თავისი აზრი მითხრა, მერე გამოვემშვიდობე და წინანდებურად უიმედო, უნუგეშო და დაღვრემილი გავუდექი ჩემს გზას.



იაპონიის ჯარის მთავარ-სარდალი მარშალი ოიამა.

განვაგრძე მგზავრობა. ეტლი მიჰქროლავდა მშრალს გზა-ტკეცილზე, რომელიც ტრიალს მინდორს მისდევდა პეტროხანსა და გინცას შუა. პირი ნერწყვით მიშრებოდა და წყურვილი მაწუხებდა, მაგრამ გზის ახლო-მახლო წყალი არსად იყო. გავიარეთ მინცას ხრამები, გავცილდით კუმიჩინა დუბკას, მაგრამ საყურადღებო არა გვინახავს და გაგვიგონიარა. აქა-იქ კანტი-კუნტად მგზავრები გვხვდებოდნენ, მაგრამ ისინიც ჩვენსავით მოწყენილები იყვნენ.

გინცაში ისევ ჩამოვხტით, რადგან ცხენებს შესვენება ესაჭიროებოდათ. მეეტლემ ეტლთან მოიცადა, მე კი თავშესაფარი სახლი მოვძებნე. ოთახი, სადაც შევისვენე, საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ კვამლით სავსე. შუაში იდგა რკინის ღუმელი, რომელშიაც ნედლი შეშა ეწყო და ამიტომ შიშინი და ტკაცა-ტკუცი გაისმოდა. ღუმელს გარშემო რამდენიმე გლეხი შემოსხდომოდა, ზოგიც ფეხზე იდგა და ისე თბებოდა. ღუმელს იქით, კუთხეში, გრძელი სკამი იდგა და ზედ რამდენიმე მგზავრი იჯდა. ისინი ძლივს მოსჩანდნენ სქელს კვამლში, რომელსაც ოთახი დაებნელებინა.

ყველას სალამი მივეცი და, ვიდრე დავჯდებოდი, ვიკითხე, ახალი ხომ არაფერი იცით მეთქი?

— კარგი არაფერი! —მიპასუხა ერთმა გლეხმა, რომელიც ღუმელზე თბებოდა.

— ცუდი კი ისმის რამე?—ვკითხე მე.

— გაიგონებ ცუდს, როდესაც გაივლი პირველ უღელტეხილს ბუჩინისაკენ, სთქვა ისევ იმ გლეხმა.

— რა ამბავია იქა?

— თოფ-ზარბაზნების გრიალი ისმის,— ყრუდ მიპასუხა გლეხმა და აქეთ-იქით მიმოიხედა.

— დიდიხანია ისმის თოფ-ზარბაზნების ხმა?

— დილიდან.

— ხმა გარკვევით მოდის?

— ძლიერ გარკვევით, — ჩაილაპარაკა დაღონებულმა გლეხმა.

— თუ ზარბაზნის ხმა ასე კარგად მოისმის, სჩანს, ჩვენი ჯარი უკან იწევს,— ვთქვი მცირე ფიქრის შემდეგ და მაშინვე გამახსენდა ის საუბარი, რომელიც პეტროხანის ტელეგრაფის მოხელესთან მქონდა. ჩვენის აზრით მაშ სერბები ამ ჟამად დრაგომანთან უნდა ყოფილიყვნენ თავმოყრილნი, რასაც საქმის გარემოება თან-და-თან ამტკიცებდა კიდეც.

— ჩვენებმა და უკან დაიწიონ?!—მოისმა ოთახის კუთხიდან ვიღაცის ამაყი ხმა:—ჩვენები დაიხოცებიან და უკან კი არ დაიწევენ!

ამ სიტყვებმა აღტაცებაში მომიყვანა. რაც ბერკოვიციდან წამოვედი, ასეთი სანუგეშო სიტყვა პირველად აქ გავიგონე. გავიხედე კუთხისაკენ, საიდანაც, სქელის კვამლის გამო, ძლივს მოჩანდა ჯარის-კაცი.

— ყოჩაღ, ვაშა!—შევსძახე ჩემდა უნებურად და დავაცქერდი.

ჯარის-კაცს გაფითრებული სახე ჰქონდა და მაყვალივით შავი თვალები. თითქმის ბავშვი იყო, ოცის წლისა არ იქნებოდა. არც ფარაჯა და არც ქუდი ტანზე არ მოსდიოდა, ორივე დიდი იყო. ჭაბუკი ჯარის-კაცი სამხედრო ტანისამოსში სრულიად არა სჩანდა. მივაწოდე ჭიქით ღვინო, მაგრამ არ ჩამომართვა. ვკითხე, სად მიდიხარ მეთქი; ძლივს გასაგონის ხმით მიპასუხა:

— სოფიაში მივდივარ; უნდა შევუერთდე ჩვენს პოლკს, რომელიც სამხრეთ-ბოლგარიიდან დაიძრა. ხვალ გათენებისას ჩვენი პოლკი მტრის წინააღმდეგ გაილაშქრებს.

ჯარის-კაცმა მითხრა პოლკის სახელიც, მაგრამ დამავიწყდა.

ერთხანს კიდევ ვუცქირე და დავრწმუნდი, რომ უძლეველი იქმნებოდა. ყოველსავე იმის სიტყვაზე სიმტკიცის ბეჭედი იყო დაკურლი.

ამასობაში ცხენებმაც შეისვენეს და მეც ჩემს გზას დავადექი. დაფიქრებული ვიყავ და ვერც კი შევამჩნიე, როგორ მივაღწიე იმ უღელტეხილამდე, რომელზედაც გლეხი მეუბნებოდა.

ცოტას რომ გავსცილდი, ჩემ წინ გადაიშალა პატარა, მაგრამ საუცხოვო ვაკე. შუა ადგილას, გზა-ტკეცილის მახლობლად, მოსჩანდა გლეხის ქალების ჯგუფი; ყველას თავზე თეთრი ხელსახოცი ჰქონდა წაკრული. მოხუცსა თუ ახალგაზდას ესარგებლნათ უქმე დღით და მოეყარათ თავი აქ, სადაც ისმოდა ომის მრისხანე ხმა. უძრავად იდგნენ ერთს ადგილას და სდუმდნენ, თითქოს ეშინოდათ ხმის ამოღებისა ამ ტრიალს მინდორში, რომელიც ასე ახლოს იყო ბრძოლის ველზე. ქა-



ზღვის პირას.

ლები დაბეჯითებით უგდებდნენ ყურს, თითქოს სცდილობდნენ გაერჩიათ ზარბაზნების ყრუ ქუხილში თავიანთ ძმათა, შვილთა და ქმართა კვნესა და ყიჟინა. ოჰ, საშინელებავ! იქ, სადღაც, ამ ამწვანებულ ველის გადაღმა, ომი მარტო მეფისა და მთავრის სვე-ბედს კი არა სწყვეტდა, იგი ბოლოს უღებდა ათასობით იმათ ქვეშევრდომთაც. ეს ხომ ცხადი უსამართლობაა!

მეც გავჩერდი და ყური დავუგდე. თოფ-ზარბაზნების ხმა არ ისმოდა, მაგრამ დრო-გამოშვებით მოდიოდა ყრუ და მრისხანე ჟრიამული და ხმაურობა.

ეს ჟრიამული ნათლად გვიამბობდა იმ სისხლის მღვრელ ტრაგედიას, რომელიც ჰხდებოდა დასავლეთით, დრაგომანს ახლო. აურზაური და ყიჟინა თითქოს მიწიდან ამოდიოდა, გვეგონებოდათ,—დედამიწის მრისხანება მოისმის იმ სისხლის გამო, რომელიც მიწაზე უსამართლოდ ინთხეოდა.

საღამოთი უკვე სოფიაში ვიყავი.

გავიდა ხუთი დღე აქ აღწერილ ამბის შემდეგ. 8 ნოემბერს დავათვალიერე საავადმყოფო, რომელიც ბოლგარიის წითელ ჯვრის საზოგადოებამ დააარსა და მოათავსა ბოლგარიის მაშინდელ საერო ბანკის სადგომში. თითქმის ყველა ოთახი დაჭრილებით იყო სავსე. ამ დილას მოიყვანეს სლივნიციდან ბრძოლის ველის ახალი მსხვერპლნი. ახალგაზდა ჯარის-კაცნი იწვნენ უბრალო ლეიბებზე, უსაბნოდ, მოურთველს ტახტებზე და ამნაირად ებრძოდნენ თავიანთსავე ტანჯულ სულს, როგორც წინად მტრებს ებრძოდნენ. არ ისმოდა გმინვა, სდუმდნენ ისე, როგორც შეჰშვენის ნამდვილს გმირს.

ვიღაც მანდილოსანი და ორი სანიტარი გაჩერდნენ ერთ დაჭრილის საწოლთან და დაიწყეს რაღაზედაც საუბარი. მეც მიუახლოვდი. ჯარის-კაცს ეძინა.

— შეჰხედეთ, რვა ჭრილობა აქვს,—სთქვა სანიტარმა.

— რომელ პოლკისაა?—ვკითხე მე.

— ეხლახან მოიყვანეს, ჯერ ჩაწერაც კი ვერ მოასწრეს.

ყურადღებით დავაცქერდი მწოლიარე მომაკვდავს. მან ნახევრად გაახილა თვალები, მაშინვე ვიცანი ჩემი ნაცნობი ჯარის კაცი, ფერმიხდილი და შავთვალა, რომელსაც ამ ხუთის დღის წინად გინცაში შევხვდი.

საბრალოს ისევ წასთვლიმა.

— ნამდვილი გმირია,—სთქვა დაბალის ხმით მანდილოსანმა.—ამდენ ადგილს დაუჭრიათ და უკან მაინც არ დაუხევია. საკვირველია!

დაჭრილმა თითქოს გაიგონა მანდილოსანის სიტყვები. შემოგვხედა და მაიშნა, მომიახლოვდიო.

დავიხარე იმისკენ. ტუჩებზე სუსტი ღიმილი შევნიშნე. ჯარის-კაცმა მიცნო და ალბად იმიტომ გაიღიმა.

— ხომ გითხარი, ჩვენები არასოდეს უკან არ დაიხევენ მეთქი,—წარმოსთქვა ძლივს გასაგონის ჩურჩულით.

— მორჩები, ნუ გეშინიან!—ვანუგეშე და ფრთხილად ხელი ჩამოვართვი. თვალები ცრემლებით ამევსო, ვერ მოვითმინე და ჩუმი ქვითინი ამოუშვი, მაგრამ ისე კი, რომ დაჭრილს არ შეემჩნია. შემდეგ მოვიწმინდე თვალები და დავუწყე ნუგეშის ცემა, თითქოს ძალიან საჭიროებდა ჩემს ნუგეშს!...

— შენ მოიპოვე მამაცურის ბრძოლით ოქროს ჯვარი,—ვუთხარი ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— მე კი ხის ჯვარისთვის ვიბრძოდი,—წაიჩურჩულა მოკლედ.

ეს მისი უკანასკნელი სიტყვები იყო.

რამდენისამე საათის შემდეგ ჯარის-კაცი გარდაიცვალა.

დიაღ, ეხლა ხის ჯვარი ამშვენებს იმის საფლავს, რომელმაც თავი შესწირა მსხვერპლად.

ომი!.. ადვილი სათქმელია ეს სიტყვა, მაგრამ აბა თქვენის თვალით ჰნახეთ, თუ რამდენი უმანკო სისხლი იღვრება იქა!

საშინელება რამ არის ომი!

დ. ჯაში.

## ტ ფ ი ლ ი ს ი.



ხოლერა.—უჰ, რა ყარს ეს ქალაქი, რა ბინძურია! უჩემოდაც შეუძლებელია აქ გაძლება.




— სწორედ უბედურებაა!.. მარცხნივ წახვალ—„დვორნიკს" წააწყდები, მარჯვნივ წახვალ—„გოროდოვოის", პირდაპირ წახვალ—„უჩასტკის" კარებს!..

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.